სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება	ფსიქოლოგია
პროგრამის ხელმძღვანელი	თამარი ქობულაძე
სწავლების ენა	ქართული, ინგლისური სწავლების კომპონენტებით
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფსიქოლოგიის ბაკალავრი
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	240 ECTS (8 სემესტრი. ერთი სემესტრი მოიცავს 18 კვირას. ერთი აკადემიური წელი 2–სემესტრიანია და მოიცავს საშუალოდ 60 ECTS კრედიტს, საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა (ერთი კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს).
პროგრამის დამტკიცების თარიღი და ოქმის ნომერი	18.11.2019 №09-19
პროგრამის განახლების თარიღი და ოქმის ნომერი	11.02.2024 №01-24

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების (რანჟირების დოკუმენტის) საფუძველზე ან უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, დადგენილი წესის შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და რექტორის ბრძანების საფუძველზე.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

პროგრამის მიზანი

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს თანამედროვე თეორიულ-პრაქტიკული ცოდნის, ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციების მქონე

კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც შეძლებენ ადგილობრივი შრომის ბაზრის მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილებას; უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე (მაგისტრატურაში) სწავლის გაგრძელებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, პრაქტიკულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში საკუთარი კომპეტენციებისა და შესაძლებლობების რეალიზებას და კარიერულ წინსვლას, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს საზოგადოების ინტელექტუალურ, ზნეობრივ, კულტურულ და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს:

(A) გააცნოს ფსიქოლოგიის არსი; ფსიქოლოგიის როგორც მეცნიერების განვითარების ისტორია; თანამედროვე ფსიქოლოგიის ძირითადი მიგნებები და გამოწვევები.

(B) შესძინოს ფსიქოლოგიის სხვადასხვა ქვედარგის (პიროვნების ფსიქოლოგია, განვითარების ფსიქოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია) შესახებ ფართო თეორიული ცოდნა;

(C) გამოუმუშავოს ფსიქოლოგისთვის საჭირო პიროვნული და პროფესიული, მათ შორის კვლევითი უნარ-ჩვევები; ამასთანავე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების და ქართულ და ინგლისურ ენებზე კომუნიკაციის უნარი;

(D) გამოუმუშავოს ფსიქოლოგიის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტიანად გამოყენების უნარი და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები;

(E) ჩამოუყალიბოს პროფესიული საქმიანობისას ეთიკის პრინციპების დაცვის, ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობისა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის, ცოდნის მუდმივი განახლების, კომპეტენციების სრულყოფისა და პროფესიული განვითარებისათვის საჭირო პასუხისმგებლობა.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულს:

(A) ეცოდინება ფსიქოლოგიის საგანი და ამოცანები; ფსიქოლოგიის როგორც მეცნიერების ჩამოყალიბების ისტორია და თანამედროვე მიმდინარეობები; ფსიქოლოგიის ძირითად ცნებები, მეცნიერული კვლევის პრინციპები და მეთოდები, თეორიული მიდგომები, ემპირიული აღმოჩენები, დარგის უახლესი მიღწევები და სამეცნიერო დისკუსიებში არსებული პოზიციები;

(B) ეცოდინება ფსიქოლოგიის სხვადასხვა ქვედარგის მეცნიერული, თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები; ადამიანის ფსიქიკური პროცესების ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები, პიროვნების არსი და ინდივიდუალური განსხვავებების განზომილებები, ინდივიდების ქცევის ბიოლოგიური, კოგნიტური, აფექტური, სოციალური და კულტურული საფუძვლები; ადამიანის განვითარებისა და ფუნქციონირების, ამასთანავე სოციალური ურთიერთობების კანონზომირებები, სხვადასხვა პათოლოგიის თავისებურებები; ფსიქიკური აშლილობებისა და დარღვევების თანამედროვე საკლასიფიკაციო სისტემები; ფსიქიკური აშლილობების კლინიკური გამოვლინებები და სადიაგნოსტიკო კრიტერიუმები;

(C) ეცოდინება ფსიქოლოგიის კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები (დაკვირვება, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, გამოკითხვა, კონტენტ-ანალიზი, შემთხვევის შესწავლა, ექსპერიმენტი), მათი მახასიათებლები, უპირატესობები და ნაკლოვანებები (გამოყენების შეზღუდვები);

(D) გაცნობიერებული ექნება ფსიქოლოგის პროფესიის სოციალური მნიშვნელობა; ფსიქოლოგის როლი კლინიკურ, მულტიდისციპლინურ და სხვა სფეროებში; პროფესიული საქმიანობის მიზნები, ამასთანავე მორალური პრინციპები და პროფესიული საქმიანობისას საკუთარი კომპეტენციის საზღვრების დაცვის მნიშვნელობა.

უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს:

(E) ფსიქოლოგიის კვლევის საგნისა და მიზნების იდენტიფიცირებას; ინდივიდის ფსიქიკური პროცესების, ქცევების და ამ ქცევების მიღმა არსებული მოტივებისა და განწყობების შეფასება-ანალიზს თეორიულ მიდგომებზე დაყრდნობით; ფსიქოლოგიური პრობლემების ამოცნობას, პრობლემების მიზეზებსა და შედეგებს შორის კავშირის დადგენას და პრევენციული და ინტერვენციული მიდგომების შერჩევას წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

(F) წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად მცირე მასშტაბის კვლევის დაგეგმვასა და ჩატარებას კვლევის ეთიკის პრინციპების დაცვით (საკვლევი საკითხის სწორად დასმას, კვლევის მიზნებისა და ამოცანების ჩამოყალიბებას, კვლევის დიზაინის შემუშავებას – ცვლადების შერჩევას, ჰიპოთეზ(ებ)ის ფორმირებას, შესაბამისი კვლევის მეთოდის შერჩევას, რელევანტური ინსტრუმენტის მოძიებას/ადაპტირებას/შექმნას; საველე სამუშაოების განხორციელებას; მონაცემების შეგროვებას და დამუშავებას აღწერითი და დასკვნითი სტატისტიკის ელემენტების გამოყენებით (კომპიუტერული პროგრამის SPSS-ის საშუალებით); შედეგების ანალიზსა და რეკომენდაციების შემუშავებას).

(G) თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით ქართულ და ინგლისურ ენაზე (B2 დონეზე) ინფორმაციის მოძიებას და ფსიქოლოგიური ტერმინოლოგიის გამოყენებით, ზეპირი და წერილობითი ფორმით,

სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის გადაცემას; იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ წერილობითი ანგარიშის მომზადებას აკადემიური სტანდარტების დაცვით;

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

კურსდამთავრებული:

(H) ავტონომიურად ა) განსაზღვრავს ფსიქოლოგიის სფეროში შემდგომი სწავლისა და/ან მიღებული ცოდნის გაღრმავების /მუდმივად განახლების საჭიროებებს; ბ) მიიღებს გადაწყვეტილებებს არაპროგნოზირებად გარემოში გაუთვალისწინებელი პირობების საპასუხოდ.

(I) აიღებს პასუხისმგებლობას ა) პროფესიული ეთიკის ნორმების პრაქტიკაში გამოიყენებასა და წახალისებაზე; ეთიკური კვლევის ძირითადი ღირებულებებისა და აკადემიური პატიოსნების დაცვაზე, რაც გულისხმობს პლაგიატის თავიდან არიდებას, ობიექტურობის, ანონიმურობის/კონფიდენციალურობის/პერსონალური მონაცემების დაცვას და სხვა; ბ) საკუთარი წინააღმდეგობრივი მოსაზრების კორექტულად გამოხატვაზე, განსხვავებული აზრის მიმართ ტოლერანტობისა და პატივისცემის გამოვლენაზე; ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობაზე, კოლეგების მხარდაჭერაზე; გ) განსხვავებული შესაძლებლობების/საჭიროებების მქონე პირების მიმართ ინდივიდუალურ მიდგომაზე.

სწავლება-სწავლის მეთოდი

☒ ლექცია ☒ სამუშაო ჯგუფში მუშაობა ☒ პრაქტიკული მუშაობა ☒ სემინარი ☒ ელექტრონული რესურსით სწავლება

☐ ელექტრონული სწავლება ☒ სხვა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი	შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი	მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი	მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი	მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი	მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა	მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა	მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების ფორმები და კომპონენტები

შეფასების ფორმები და კომპონენტები	**მაქსიმალური ქულა**
შუალედური შეფასება, მათ შორის:	**70 ქულა**
წერითი/ზეპირი გამოკითხვა	30
შუალედური წერითი/ზეპირი გამოცდა	30
ინდივიდუალური საშინაო დავალება/პრეზენტაცია	10
დასკვნითი შეფასება	**30 ქულა**
დასკვნითი წერითი/ზეპირი გამოცდა	30
სულ	**100 ქულა**

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

დასაქმების სფერო

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებს შეეძლებათ დასაქმდნენ შრომის ბაზარზე არსებულ ისეთ სამუშაო ადგილებზე, რომლებისთვისაც ფსიქოლოგის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი დამაკმაყოფილებელი იქნება (დასაქმების ძირითადი სფეროებია: განათლება, ჯანდაცვა, სოციალური მომსახურება და მართვა). ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად შეიძლება დასაქმდეს:

- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში,
- ადრეული განათლების ცენტრში,
- სკოლაში,
- სამედიცინო დაწესებულებაში,
- მენტალური ჯანმრთელობის ცენტრში,
- ფსიქო-სოციალური და ფიზიკური რებილიტაციის ცენტრში,
- საკონსულტაციო დიაგნოსტიკურ ცენტრში,
- ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრში,
- ბავშვთა და მოზარდთა აბილიტაციის ცენტრში,
- კვლევით დაწესებულებაში,
- ტრენინგ-ცენტრში,
- განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრში,
- სახელმწიფო ან კერძო ორგანიზაციაში ადამიანური კაპიტალის მართვის მიმართულებით,
- არასამთავრობო ორგანიზაციაში სოციალური პროექტების მიმართულებით

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია საქართველოს და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე (მაგისტრატურაში) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც დაშვების წინაპირობად მიიჩნევს/არ კრძალავს ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიურ ხარისხს.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი

უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

შენობა-ნაგებობანი - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის 24–საათიან მფლობელობაში და საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვული სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

ბიბლიოთეკა - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელ-მისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისათვის. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის მულტიფუნქციური ქსეროქსის აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (საკანონმდებლო მაცნე, EBSCO, HeinOnline, ELSEVIER: Scopus, Science Direct, Scival Funding)). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისათვის. სტუდენტებისათვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისათვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათებო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაცის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

სწავლების ორგანიზების თავისებურებები

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის დასრულებისათვის სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი, რაც ნაწილდება შემდეგნაირად: 24 ECTS — საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები, 24 ECTS — ინგლისური ენის კომპონენტი, 136 ECTS სავალდებულო სასწავლო კურსები და 56 ECTS კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია აირჩიოს შეთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსები.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტს თავისუფალი კომპონენტის სახით შეიძლება ეღიაროს სხვა სასწავლო კურსები, რომლებიც ათვისებული აქვს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

უცხო ენის კომპონენტი მოიცავს შემდეგ სასწავლო კურსებს: ინგლისური ენა (A1), ინგლისური ენა (A2), ინგლისური ენა (B1.1), ინგლისური ენა (B1.2) ინგლისური ენა (B2.1), ინგლისური ენა (B2.2)

საბაკალავრო პროგრამის სტუდენტისთვის სავალდებულოა ინგლისური ენის B2 დონეზე დასრულება, რაც პროგრამაში შეესაბამება სასწავლო კურსს ინგლისური ენა (B2.2).

ინგლისური ენის სასწავლო კურსებზე განაწილება წარმოებს საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვისთანავე.

განაწილების საფუძველია დონის განმსაზღვრელი ტესტის წერა, რომელიც სავალდებულოა სტუდენტისათვის.

დონის განმსაზღვრელი ტესტის შეფასების შედეგების საფუძველზე სტუდენტები გადანაწილდებიან ინგლისური ენის შემდეგ დონეებზე:

- ინგლისური ენა (A1) - 21 - 40 ქულა
- ინგლისური ენა (A2) - 41 - 51 ქულა

- ინგლისური ენა (B1.1) – 52 - 61 ქულა
- ინგლისური ენა (B1.2) – 62 - 71 ქულა
- ინგლისური ენა (B2.1) - 72 - 81 ქულა
- ინგლისური ენა (B2.2) - 82 - 100 ქულა

შენიშვნა: ის სტუდენტი რომელიც ტესტირების შედეგად დააგროვებს 0-20 ქულას (A0) დონეს გაივლის ინტენსიური კურსის საშუალებით და სწავლას კრედიტების დასაგროვებლად დაიწყებს A1 დონიდან.

საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია ინგლისური ენის 24 კრედიტი. დონის განმსაზღვრელი ტესტით ინგლისური ენის საწყის დონეზე მოხვედრის შემთხვევაში სტუდენტი დანარჩენ 12 კრედიტს აგროვებს პროგრამის ასარჩევი საგნების ხარჯზე, რათა მიაღწიოს პროგრამის დასრულებას განსაზღვრული უცხო ენის ცოდნის დონით - ინგლისური ენა (B2.2) ის სტუდენტები, რომლებიც უნივერსიტეტში ჩარიცხვის ეტაპზე წარმოადგენენ ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელ შემდეგ საერთაშორისო სერთიფიკატებს, შესაბამისი შეფასებებით, თავისუფლდებიან უნივერსიტეტში ინგლისური ენის სწავლების ვალდებულებისაგან. პროგრამის სტრუქტურით გათვალისწინებული უცხო ენის 24 კრედიტს კი აგროვებენ არჩევითი საგნების ხარჯზე. კერძოდ, სტუდენტი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის B2-ის ან B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სხვა სერთიფიკატს, როგორიც არის: FCE; IELTS- 5.5-6.5; TOEFL Paper 513-547; TOEFL CBT-183 – 210; TOEFL IBT- 65-78

შენიშვნა: ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სერთიფიკატი განაცხადის გაკეთების დროს უნდა იყოს ძალაში და აპლიკანტს უნდა შეეძლოს მისი წარმოდგენა. ვადაგასული დოკუმენტი არ განიხილება.

№	წინაპირობა	მოდული/საგანი	ECTS კრედიტი								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა	
			I წელი		II წელი		III წელი		IV წელი			
			სემესტრი									
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები
	სასწავლო კომპონენტი											
	საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები											
1.	წინაპირობის გარეშე	სოფისე კომპიუტერული პროგრამები	6/150								31	119
2.	წინაპირობის გარეშე	კომუნიკაცია, პრეზენტაცია და დისკუსიის ტექნიკა		6/150							32	118
3.	წინაპირობის გარეშე	ევროპა და საქართველო				6/150					44	106
4.	წინაპირობის გარეშე	აკადემიური წერა						6/150			48	102
	საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები							**არჩევა შესაძლებელია**				
1.	წინაპირობის გარეშე	ფილოსოფიის შესავალი		6/150							31	119
2.	წინაპირობის გარეშე	ლოგიკა		6/150							31	119
3.	წინაპირობის გარეშე	კრეატივისა და იდეების გენერირების ტექნიკა							6/150	+	31	119
4.	წინაპირობის გარეშე	შესავალი სამართალში						6/150	+	+	30	120
5.	წინაპირობის გარეშე	რელიგია და საზოგადოება						6/150	+	+	47	103
6.	წინაპირობის გარეშე	მსოფლიო ცივილიზაციები და საქართველო						6/150	+	+	43	107

7.	წინაპირობის გარეშე	ბიზნეს ადმინისტრირების საფუძვლები						6/150	+	+	31	119
	ინგლისური ენის კომპონენტი											
1.	წინაპირობის გარეშე	ინგლისური ენა (A1)[1]	6/150								84	66
2.	ინგლისური ენა (A1)	ინგლისური ენა (A2)	6/150								84	66
3.	ინგლისური ენა (A2)	ინგლისური ენა (B1.1)	6/150								84	66
4.	ინგლისური ენა (B1.1)	ინგლისური ენა (B1.2)		6/150							84	66
5.	ინგლისური ენა (B1.2)	ინგლისური ენა (B2.1)			6/150						84	66
6.	ინგლისური ენა (B2.1)	ინგლისური ენა (B2.2)				6/150					84	66
	სავალდებულო სასწავლო კურსები											
1.	წინაპირობის გარეშე	ფსიქოლოგიის საფუძვლები 1	6/150								31	119
2.	წინაპირობის გარეშე	ნეიროფიზიოლოგია	6/150								44	106
3.	წინაპირობის გარეშე	სოციოლოგიის შესავალი ფსიქოლოგებისთვის	6/150								31	119
4.	ფსიქოლოგიის საფუძვლები 1	ფსიქოლოგიის საფუძვლები 2		6/150							31	119
5.	ფსიქოლოგიის საფუძვლები 1 *თანაპირობა:* ფსიქ. საფუძვლ 2	ფსიქოლოგიის ისტორიის განვითარება თანამედროვეობის კონტექსტში		6/150							31	119
6.	ფსიქოლოგიის საფუძვლები 2	განვითარების ფსიქოლოგია 1			5/125						44	81

[1] *შენიშვნა*: ინგლისური ენის დონეებზე მითითებული სემესტრები იცვლება პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების მიერ დონის განმსაზღვრელი ტესტის შედეგების საფუძველზე

7.	ფსიქოლოგიის საფუძვლები 2	კოგნიტური ფსიქოლოგია 1			5/125						44	81
8.	ფსიქოლოგიის საფუძვლები 2S)	პიროვნებისა და ინდივიდუალური განსხვავებების ფსიქოლოგია			6/150						44	106
9.	ფსიქოლოგიის საფუძვლები 2	კვლევის მეთოდები 1			4/100						31	69
10.	წინაპირობის გარეშე	შესავალი სტატისტიკურ ანალიზში SPSS-ის გამოყენებით			4/100						44	56
11.	განვითარების ფსიქოლოგია 1	განვითარების ფსიქოლოგია 2				5/125					44	81
12.	კოგნიტური ფსიქოლოგია 1	კოგნიტური ფსიქოლოგია 2				5/125					44	81
13.	კვლევის მეთოდები 1, შესავალი სტატისტიკურ ანალიზში SPSS-ის გამოყენებით	კვლევის მეთოდები 2				4/100					31	69
14.	ნეიროფიზიოლოგია; ინგლისური ენა (B1.1); კოგნიტური ფსიქოლოგია 2.	ნეიროფსიქოლოგიის შესავალი				4/100					31	69
15.	ფსიქოლოგიის საფუძვლები 2; თანაპირობა: ინგლისური ენა (B1.2)	სოციალური ფსიქოლოგია					6/150				43	107

16.	პიროვნებისა და ინდივიდუალური განსხვავებების ფსიქოლოგია, *თანაპირობა:* ინგლისური ენა (B2.1)	ფსიქოპათოლოგიის შესავალი					4/100				31	69
17.	კოგნიტური ფსიქოლოგია 2; განვითარების ფსიქოლოგია 2; ნეიროფსიქოლოგიის შესავალი; *თანაპირობა:* ინგლისური ენა (B2.1); ფსიქოპათოლოგიის შესავალი	ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები					4/100				31	69
18.	ფსიქოლოგიის საფუძვლები 2, თანაპირობა: ინგლისური ენა (B1.2)	შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია					6/150				31	119
19.	კვლევის მეთოდები 2; კოგნიტური ფსიქოლოგია 2; შესავალი სტატისტიკურ ანალიზში SPSS-ის გამოყენებით;	ექსპერიმენტული ფსიქოლოგია					4/100				47	53

20.	კვლევის მეთოდები 2; შესავალი სტატისტიკურ ანალიზში SPSS-ის გამოყენებით; თანაპირობა: ინგლისური ენა B1.2	ფსიქომეტრიის შესავალი					6/150				31	119
21.	ფსიქოლოგიის საფუძვლები 2; თანაპირობა: ინგლისური ენა (B2.1)	კლინიკური ფსიქოლოგიის შესავალი						6/150			31	119
22.	პიროვნებისა და ინდივიდუალური განსხვავებების ფსიქოლოგია. ფსიქოპათოლოგიის შესავალი, ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები; ინგლისური ენა (B2.1)	ფსიქოლოგიური შეფასებისა და ფსიქოდიაგნოსტიკის საფუძვლები						6/150			44	106
23.	კოგნიტური ფსიქოლოგია 2; სოციალური ფსიქოლოგია; პიროვნებისა და დიფერენციალური ფსიქოლოგია	განწყობის ფსიქოლოგია						6/150			44	106
24.	ფსიქოლოგიის საფუძვლები 2; კოგნიტური ფსიქოლოგია 2; თანაპირობა: ინგლისური ენა (B2.1)	განათლების ფსიქოლოგია						6/150			44	106

25.	I-VI სემესტრების სავალდებულო სასწავლო კურსე-ბი; ინგლისური ენა (B2.2)	საბაკალავრო ნაშრომი								10/250	13	237
	არჩევითი სასწავლო კურსები											
26.	შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია; ინგლისური ენა (B2.1)	ადამიანური რესურსების მართვა						6/150	+		31	119
27.	ინგლისური ენა (B2.1)	სოციალური მუშაობის შესავალი						6/150	+		31	119
28.	პიროვნებისა და ინდივიდუალური განსხვავებების ფსიქოლოგია; ინგლისური ენა (B2.1)	პოზიტიური ფსიქოლოგიის შესავალი							6/150	+	31	119
29.	კოგნიტური ფსიქოლოგია 2, სოციალური ფსიქოლოგია; პიროვნებისა და ინდივიდუალური განსხვავებების ფსიქოლოგია ინგლისური ენა (B2.1)	ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია							6/150	+	31	119
30.	სოციალური ფსიქოლოგია; განწყობის ფსიქოლოგია; ინგლისური ენა (B2.1)	იურიდიული ფსიქოლოგიის შესავალი							6/150	+	31	119

31.	შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია; ინგლისური ენა (B2.1)	პერსონალის შერჩევა							6/150	+	31	119
32.	პიროვნებისა და ინდივიდუალური განსხვავებების ფსიქოლოგია; სოციალური ფსიქოლოგია; განვითარების ფსიქოლოგია 2; ინგლისური ენა (B2.1)	ფსიქოლოგიური კონსულტირების საფუძვლები							6/150	+	31	119
33.	ფსიქოლოგიის საფუძვლები 2; კოგნიტური ფსიქოლოგია 2; ინგლისური ენა (B2.1)	სპორტის ფსიქოლოგიის შესავალი							6/150	+	31	119
34.	ინგლისური ენა (B2.1)	ქცევის გამოყენებითი ანალიზი							6/150	+	31	119
35.	სოციალური ფსიქოლოგია ინგლისური ენა (B2.1)	პოლიტიკური ფსიქოლოგია								6/150	31	119
36.	განათლების ფსიქოლოგია; ინგლისური ენა (B2.1)	ინკლუზიური განათლების შესავალი								4/100	31	69
37.	პიროვნებისა და ინდივიდუალური განსხვავებების ფსიქოლოგია; ინგლისური ენა (B2.2)	გეშტალტთერაპიის შესავალი								4/100	31	69

38.	პიროვნებისა და ინდივიდუალური განსხვავებების ფსიქოლოგია; ინგლისური ენა (B2.2)	ნეიროლინგვისტური პროგრამირების (ნლპ) საბაზისო ტექნოლოგიები								4/100	31	69
39.	პიროვნებისა და ინდივიდუალური განსხვავებების ფსიქოლოგია; ინგლისური ენა (B2.2)	ბავშვთა მიმართ ძალადობა და ბულინგი								4/100	31	69
40.	პიროვნებისა და ინდივიდუალური განსხვავებების ფსიქოლოგია; ინგლისური ენა (B2.2)	ქცევის მართვა სკოლაში								4/100	31	69
41.	შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია; ინგლისური ენა (B2.2)	ორგანიზაციული ქცევა								6/150	31	119
42.	კომუნიკაციის, პრეზენტაციისა და დისკუსიის ტექნიკა	ტრენინგის ჩატარების მეთოდოლოგია								4/100	31	69
43.	წინაპირობის გარეშე	პროექტების მართვა ფსიქოლოგებისთვის								4/100	31	69
44.	I-VII სემესტრების განმავლობაში გავლილი სავალდებულო სასწავლო კურსები	პრაქტიკა								6/150	76	74

სემესტრში	30	30	30	30	30	30	30	30
წელიწადში	60		60		60		60	
სულ	**240**							

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები	სწავლის შედეგები								
	(A)	(B)	(C)	(D)	(E)	(F)	(G)	(H)	(I)
ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს გააცნოს: ფსიქოლოგიის არსი, კვლევის საგანი, მეთოდები, მიზნები; ფსიქოლოგიის როგორც მეცნიერების განვითარების ისტორია; თანამედროვე ფსიქოლოგიის ძირითადი პრობლემები და გამოწვევები.	X		X						
ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს: ფსიქოლოგიის სხვადასხვა ქვედარგის (პიროვნების ფსიქოლოგია, განვითარების ფსიქოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია და *სხვ.*) შესახებ ფართო თეორიული ცოდნა;		X							
ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს: ფსიქოლოგისთვის საჭირო პიროვნული და პროფესიული, მათ შორის კვლევითი უნარ-ჩვევები; ამასთანავე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების და ქართულ და ინგლისურ ენებზე წარმატებული კომუნიკაციის უნარი;						X	X		
ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს: ფსიქოლოგიის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტიანად გამოყენების უნარი და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები;					X				
ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს ჩამოუყალიბოს: პროფესიული საქმიანობისას ეთიკის პრინციპების დაცვის, ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობისა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის, ცოდნის მუდმივი განახლების, კომპეტენციების სრულყოფისა და პროფესიული განვითარებისათვის საჭირო პასუხისმგებლობა.				X				X	X

პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა

№	მოდული/საგანი	კურსის სტატუსი		პროგრამის სწავლის შედეგები								
				A	B	C	D	E	F	G	H	I
1.	სოფისე კომპიუტერული პროგრამები	D	P							+		
2.	კომუნიკაცია, პრეზენტაცია და დისკუსიის ტექნიკა	P							+	+		
3.	ევროპა და საქართველო	I	D							+		
4.	აკადემიური წერა	P							+	+		
5.	ინგლისური ენა (B2.1)	D	P							+		
6.	ინგლისური ენა (B2.2)	M								+		
7.	ფსიქოლოგიის საფუძვლები 1.	I		+				+		+		+
8.	ნეიროფიზიოლოგია	I			+					+		
9.	სოციოლოგიის შესავალი ფსიქოლოგებისთვის	I					+			+		+
10.	ფსიქოლოგიის საფუძვლები 2.	I		+	+			+		+		+
11.	ფსიქოლოგიის ისტორიის განვითარება თანამედროვეობის კონტექსტში	I	D	+	+		+			+	+	+
12.	განვითარების ფსიქოლოგია 1.	I	D	+	+					+	+	
13.	კოგნიტური ფსიქოლოგია 1.	I	D		+		+	+		+	+	+
14.	კვლევის მეთოდები 1.	D	P	+		+			+	+	+	+
15.	განვითარების ფსიქოლოგია 2.	I	D	+	+					+	+	+
16.	კოგნიტური ფსიქოლოგია 2.	I	D		+		+	+		+	+	+
17.	შესავალი სტატისტიკურ ანალიზში SPSS-ის გამოყენებით	D	P						+	+	+	+
18.	კვლევის მეთოდები 2.	D	P	+		+			+	+	+	+
19.	პიროვნებისა და ინდივიდუალური განსხვავებების ფსიქოლოგია	I	D	+	+		+	+		+	+	+

20.	სოციალური ფსიქოლოგია	I	D		+		+	+		+	+	+
21.	ნეიროფსიქოლოგიის შესავალი	I	D		+		+			+	+	+
22.	ფსიქოპათოლოგიის შესავალი	I	P		+		+	+		+	+	+
23.	ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები	I	P		+		+	+		+	+	+
24.	შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია	I	D		+	+	+	+		+	+	+
25.	ექსპერიმენტული ფსიქოლოგია	D	P	+		+			+	+	+	+
26.	ფსიქომეტრიის შესავალი	D	P		+				+	+	+	+
27.	კლინიკური ფსიქოლოგიის შესავალი	I	D		+		+	+		+	+	+
28.	ფსიქოლოგიური შეფასებისა და ფსიქოდიაგნოსტიკის საფუძვლები	D	P		+		+	+		+	+	+
29.	განწყობის ფსიქოლოგია	I	D		+			+		+	+	+
30.	განათლების ფსიქოლოგია	I	D		+		+	+		+	+	+
31.	საბაკალავრო ნაშრომი	P	M	+	+	+	+	+	+	+	+	+

კურსის სტატუსი

I – შესავალი კურსები (Introduction)	D - განმავითარებელი კურსები (Developing)	P - პრაქტიკული კურსები (Practical)	M- დაოსტატების კურსები (Master)

პროგრამის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სწავლის შედეგების რუკა

№	მოდული/საგანი	კომპეტენციები		
		ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
	საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები			
1.	სოფისე კომპიუტერული პროგრამები	X	X	
2.	კომუნიკაცია, პრეზენტაცია და დისკუსიის ტექნიკა	X	X	X
3.	ევროპა და საქართველო	X	X	X
4.	აკადემიური წერა	X	X	X
	საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები			
5.	ფილოსოფიის შესავალი	X	X	X
6.	ლოგიკა	X	X	X
7.	კრეატივისა და იდეების გენერირების ტექნიკა	X	X	X
8.	შესავალი სამართალში	X	X	X
9.	რელიგია და საზოგადოება	X	X	X
10.	მსოფლიო ცივილიზაციები და საქართველო	X	X	X
11.	ბიზნეს ადმინისტრირების საფუძვლები	X	X	X
	ინგლისური ენის კომპონენტი			
12.	ინგლისური ენა (A1)	X	X	X
13.	ინგლისური ენა (A2)	X	X	X
14.	ინგლისური ენა (B1.1)	X	X	X
15.	ინგლისური ენა (B1.2)	X	X	X
16.	ინგლისური ენა (B2.1)	X	X	X

17.	ინგლისური ენა (B2.2)	X	X	X
	სავალდებულო სასწავლო კურსები			
18.	ფსიქოლოგიის საფუძვლები 1.	X	X	X
19.	ნეიროფიზიოლოგია	X	X	X
20.	სოციოლოგიის შესავალი ფსიქოლოგებისთვის	X	X	X
21.	ფსიქოლოგიის საფუძვლები 2.	X	X	X
22.	ფსიქოლოგიის ისტორიის განვითარება თანამედროვეობის კონტექსტში	X	X	X
23.	განვითარების ფსიქოლოგია 1.	X	X	X
24.	კოგნიტური ფსიქოლოგია 1.	X	X	X
25.	კვლევის მეთოდები 1.	X	X	X
26.	შესავალი სტატისტიკურ ანალიზში SPSS-ის გამოყენებით	X	X	X
27.	პიროვნებისა და ინდივიდუალური განსხვავებების ფსიქოლოგია	X	X	X
28.	განვითარების ფსიქოლოგია 2.	X	X	X
29.	კოგნიტური ფსიქოლოგია 2.	X	X	X
30.	კვლევის მეთოდები 2.	X	X	X
31.	ნეიროფსიქოლოგიის შესავალი	X	X	X
32.	სოციალური ფსიქოლოგია	X	X	X
33.	ფსიქოპათოლოგიის შესავალი	X	X	X
34.	ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები	X	X	X
35.	შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია	X	X	X
36.	ექსპერიმენტული ფსიქოლოგია	X	X	X
37.	ფსიქომეტრიის შესავალი	X	X	X
38.	კლინიკური ფსიქოლოგიის შესავალი	X	X	X
39.	ფსიქოლოგიური შეფასებისა და ფსიქოდიაგნოსტიკის საფუძვლები	X	X	X
40.	განწყობის ფსიქოლოგია	X	X	X

41.	განათლების ფსიქოლოგია	X	X	X
42.	საბაკალავრო ნაშრომი	X	X	X
	არჩევითი სასწავლო კურსები			
43.	ადამიანური რესურსების მართვა	X	X	X
44.	სოციალური მუშაობის შესავალი	X	X	X
45.	პოზიტიური ფსიქოლოგიის შესავალი	X	X	X
46.	ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია	X	X	
47.	ფსიქოლოგიური კონსულტირების საფუძვლები	X	X	X
48.	ინკლუზიური განათლების შესავალი	X	X	X
49.	სპორტის ფსიქოლოგიის შესავალი	X	X	X
50.	ქცევის გამოყენებითი ანალიზი	X	X	X
51.	იურიდიული ფსიქოლოგიის შესავალი	X	X	X
52.	პერსონალის შერჩევა	X	X	X
53.	პოლიტიკური ფსიქოლოგია	X	X	X
54.	გეშტალტთერაპიის შესავალი	X	X	X
55.	ნეიროლინგვისტური პროგრამირების (ნლპ) საბაზისო ტექნოლოგიები	X	X	X
56.	ბავშვთა მიმართ ძალადობა და ბულინგი	X	X	X
57.	ქცევის მართვა სკოლაში	X	X	X
58.	ორგანიზაციული ქცევა	X	X	X
59.	ტრენინგის ჩატარების მეთოდოლოგია	X	X	X
60.	პროექტების მართვა ფსიქოლოგებისთვის	X	X	
61.	პრაქტიკა	X	X	X